თბილისი 2019 წლის 19 აპრილის

თსუ რექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N53/01-01 და N54/01-01 ბრძანებების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების და ასისტენტ - პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს N31/2019 2019 წლის 26 მარტის N5 სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2.

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)
ნინა მამამთავრიშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

<u>დღის წესრიგი:</u>

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის ენდოკრინოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ქეთევან ასათიანის მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ზოგადი ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ვახტანგ გოდერძიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, შალვა გიუაშვილის მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ინფექციურ დაავადების კათედრის (კლინიკური ეპიდემიოლოგიის მოდულებისათვის) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, აკაკი აბუთიძის მიერ გაკეთებული მოხსენება.

მოისმინეს:

მედიცინის დოქტორ ქეთევან ასათიანის, მედიცინის დოქტორ ვახტანგ გოდერძიშვილის, მედიცინის დოქტორ შალვა გიუაშვილის, მედიცინის დოქტორ აკაკი აბუთიძის მინი მოხსენება, მათ მიერ მოპოვებული სამეცნიერო გრანტებისა და წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა ასევე დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც ისინი სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

აზრი გამოთქვეს:

ნინა მამამთავრიშვილმა და თეიმურაზ დოჭვირმა.

მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ ქეთევან ასათიანის, ვახტანგ გოდერძიშვილის, შალვა გიუაშვილის, აკაკი აბუთიძის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ისინი ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 20 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის ენდოკრინოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ქეთევან ასათიანის, თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ზოგადი ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ვახტანგ გოდერძიშვილის, თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ შალვა გიუაშვილის, თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ინფექციურ დაავადების კათედრის (კლინიკური ეპიდემიოლოგიის მოდულებისათვის)

ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ აკაკი აბუთიძის არჩევას.

<u>დაადგინეს:</u>

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. მედიცინის დოქტორი ქეთევან ასათიანი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ენდოკრინოლოგიის მიმართულების ასოცირებულ პროფესორად;
3. მედიცინის დოქტორი ვახტანგ გოდერძიშვილი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის ასოცირებულ პროფესორად;
4. მედიცინის დოქტორი შალვა გიუაშვილი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორად;
5. მედიცინის დოქტორი აკაკი აბუთიძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის ინფექციურ დაავადების კათედრის (კლინიკური ეპიდემიოლოგიის მოდულებისათვის) ასისტენტ-პროფესორად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

_____

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

_____

მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე

_____

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

_____

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

_____

ნინა მამამთავრიშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)